TALKING ABOUT GENDER-BASED VIOLENCE



Photo by Freepik

- სტატისტიკურად, მსოფლიოში **3 ქალიდან 1** (736 მილიონ მეტი ქალი) ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი გამხდარა ცხოვრებაში **ერთხელ მაინც**.
- მსოფლიოში **4-დან 1 გოგონას** (15-19 წლის), გამოუცდია ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობა **პარტნიორის ან ქმრის მხრიდან**.

(WHO, 2021)

- საათობრივად 5-ზე მეტი ქალი ან გოგონა ხდება ფემიციდის მსხვერპლი ოჯახის წევრისგან

(UN WOMEN 2022)

გენდერული ძალადობა არის სისხლისამართლებრივი დანაშაული, რომელიც კანონით მკაცრად დასჯადია[1]

[1] **ანონიმური განაცხადის** შემთხვევაშიც, საბერძნეთის პოლიცია ვალდებულია დაიწყოს გამოძიება. სტამბულის კონვენციის რატიფიცირებით, საბერძნეთმა სისხლისამართლებრივ დანაშაულად ცნო გენდერული ძალადობის ყველა ფორმა (კანონი 4531/2018)

განვიხილოთ გენდერული ძალადობა:

ტერმინი გენდერული ძალადობა გულისხმობს ძალადობრივ ქმედებას, რომელიც ადამიანების მიმართ მათი სქესის ნიშნით ხორციელდება.

გენდერული ძალადობა არის **გლობალური** ფენომენი. ამ სახის ძალადობრივი ქმედება ხორციელდება ძირითადად მამრობითი სქესისგან, ქალების და გოგონების მიმართ. გენდერულ ძალადობას ვხვდებით **ყველგან** (სახლში, ოჯახში, სკოლაში, სამსახურში, სოციალურ ქსელებში, სოციუმში).

საბერძნეთში, გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა **ოჯახური ძალადობაა**. მოძალადე ხშირ შემთხვევაში, თავად ოჯახის წევრია (მეუღლე, ძმა, მამა, ბიძა, მამთილი, ყოფილი-მეუღლე/პარტნიორი).

მე მსხვერპლი ვარ?

თუ ქვემოთ ჩამოთვლილი ძალადობრივი აქტის ფორმა ოდესმე გამოგიცდია, **მაშინ თქვენ ხართ ძალადობის მსხვერპლი**:

- **სქესობრივი ძალადობა:** გაუპატიურება, სექსუალური შევიწროვება, ადამიანებით ვაჭრობა-ტრეფიკინგი, სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი ქორწინება
- **ფიზიკური ძალადობა:** ფემიციდი, წამება, ნებისმიერი სახის ფიზიკური ტკივილის მიყენება, საკვებზე/სასმელზე წვდომის შეზღუდვა, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება.
- **ფსიქოლოგიური ძალადობა:** სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყვირილი, პირადი ნივთების განადგურება, თავისუფლების შეზღუდვა, გარე სამყაროდან იზოლაცია, ადევნება, თვალთვალი.
- **ეკონომიკური ძალადობა:** წვდომის შეზღუდვა ფინანსურ რესურსებზე, სკოლასა თუ სამსახურში სიარულის აკრძალვა, რომლის მიზანი ფინანსური დამოკიდებულების გამოწვევაა.

გეშინია ხმის ამოღების? შენ არ ხარ მარტო! ძალადობაგამოვლილო ქალებო, ჩვენ ვართ ბევრნი და გვაქვს ძალა!

საფრთხეში ხარ?

თუ საუბარი შეგიძლია და წვდომა გაქვს ტელეფონთან:

- დარეკე ნომერზე **100** აან გააგზავნე უფასო SMS (მისამართი, სახელი და გვარი,გადაუდებელი დახმარების მიზეზი მაგ. "ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია", "ჩემი მეუღლე ძალადობს ჩემზე")
- დარეკე ნომერზე **15900, 24** საათის განმავლობაში. საოჯახო პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის გენერალური სამდივნოს ცხელ ხაზზე (ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, იურიდიული კონსულტაცია და თავშესაფარი) ან გააგზავნეთ ელფოსტა: sos15900@isotita.gr.
- დარეკე ან გააგზავნე ელფოსტა **საბერძნეთის პოლიციის ოჯახური ძალადობის ნებისმიერ 18 განყოფილებაში** ათენი: 2144068271, 2105223970, dvoathens@astynomia.gr / პირეა: 2104177602, dvopeiraios@astynomia.gr / დასავლეთ ატიკი: პერისტერი: 2105717129, dvodyattikis@astynomia.gr ან ახარნე: 2102478004, 2102478017 gaev.aataxarnon@astynomia.gr / თესალონიკი: 2310253382, dvothess@astynomia.gr. დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიე ბმულს: https://www.astynomia.gr/odigos-tou-politi
- გააქტიურე **Panic Button App** შენს სმარტფონზე. აპლიკაცია, რომელიც ავტომატურად იძახებს პოლიციას. შექმნილია ატიკასა და თესალონიკში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. აპლიკაციის გასააქტიურებლად შეგიძლია მიმართო პოლიციის ან საბერძნეთის პოლიციის ოჯახური ძალადობის განყოფილებას.

თუ არ შეგიძლია თავისუფლად საუბარი ან არ გაქვს წვდომა ტელეფონთან:

- გამოიყენე **გლობალური სიგნალი** ვიდეო საუბრის დროს ან ქუჩაში/მაღაზიაში ყოფნისას. სიგნალი სრულდება შემდეგ ნაირად: ცერა თითი მიადეთ ხელის გულს და შემდეგ ჩამოკეცე ზედა ოთხი თითი ქვემოთ, მოუჭირე ცერა თითს. **გაიმეორე** იგივე მოძრაობა რამდენჯერმე.

ხარ გენდერული ძალადობის მოწმე ან იცნობ მსხვერპლს?

განაცხადე, თუნდაც ანონიმურად. როდესაც ახლობელი გაგანდობს ისტორიას, არ განსაჯო. გამოიჩინე პატივისცემა და კონფიდენციალურობა. კონკრეტულ მოქმედებამდე დაუკავშირით ზემოთ აღნიშნულ ცხელი ხაზების ექსპერტებს ინსტრუქციებისთვის.

ხარ გენდერული ძალადობის მსხვერპლი მაგრამ არ გაქვთ დოკუმენტები ან ბინადრობის მოწმობა?

არ შეგეშინდეს. ასეთ შემთხვევაში **დეპორტაცია**, პატიმრობა ან თქვენი შვილზე მეურვეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. საბუთების არ მქონე ოჯახური ძალადობის მსხვერპლების უფლებები დაცულია კანონით (კანონი 4531/2018). კანონის თანახმად, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ბინადრობის ნებართვა ჰუმანიტარული მიზეზების ნიადაგზე. ეს კანონი არ ვრცელდება გენდერული ძალადობის დანაშაულის მოწმეებზე.

არ გაქვს ფული?

არ შეგეშინდეს. შეგიძლია მიიღო **უფასო** სამედიცინო, ფსიქოსოციალური და იურიდიული დახმარება სხვადასხვა დაწესებულებაში (მუნიციპალიტეტების საკონსულტაციო ცენტრები, DIOTIMA ცენტრი და ა.შ.)

Photo by Freepik

დამატებითი ინფორმაცია:

- **GBV Pocket Guide აპლიკაცია** არის 12 ენაზე: **ჩამოტვირთე** Google Play-დან (ანდროიდი) ან App Store-დან (აიფონი)
- **24/7 ცხელი ხაზი:**
  სამედიცინო დახმარება: **166**
  ადამიანებით ვაჭრობა: **11090**
  სოციალური დახმარება: **197**
  ბავშვები SOS: **1056**
  ბავშვთა დაცვა: **1107**
- **საკონსულტაციო ცენტრები** (27) და **თავშესაფარი** (18) საბერძნეთში (მაგ. ათენის ცენტრი: 2103317305-6). დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ბმულს: www.isotita.gr ან www.womensos.gr
- **DIOTIMA ცენტრი:** ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სპეციალიზირებული გენდერულ თანასწორობასა და საკითხებზე: 2103244380 ან გამოაგზავნეთ ელფოსტა helpdesk.diotima@gmail.com

განაცხადე თუნდაც ანონიმურად:

მომზადებულია **საბერძნეთის მიგრანტთა ფორუმის** მიერ **როზა ლუქსემბურგის ფონდის მხარდაჭერით** (2023 წლის ნოემბერი)

ΕΛΛΗΝΙΚΟ ΦΟΡΟΥΜ ΜΕΤΑΝΑΣΤΩΝ | GREEK FORUM OF MIGRANTS
www.migrant.gr

ROSA LUXEMBURG STIFTUNG
OFFICE IN GREECE